

2016 წლის შრომის ანაზღაურება იმერეთის მუნიციპალიტეტებში

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” პერიოდულად აქვეყნებს [ინფორმაციას](#) საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მუნიციპალიტეტებში დასაქმებულთა სახელფასო ოდენობისა და გაცემული პრემიის შესახებ. ამჯერად, წარმოგიდგინთ კვლევას 2016 წელს იმერეთის მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ პირთა სახელფასო ანაზღაურების, პრემიის, ჯილდოს, დახმარების ან/და სახელფასო დანამატთა ოდენობის შესახებ.

ძირითადი მიგნებები

იმერეთის მუნიციპალიტეტებში 2016 წელს გაცემულმა სახელფასო ანაზღაურებამ **22 323 636** ლარი შეადგინა. აქედან, **გამგეობებში/მერიაში** სახელფასო ანაზღაურებაზე დაიხარჯა **17 217 253** ლარი, ხოლო საკრებულოებში - **5 106 383** ლარი.

მუნიციპალიტეტებში გაცემულმა **პრემია/ჯილდო/დახმარება/სახელფასო დანამატთა** ჯამმა წლის განმავლობაში **3 360 132** ლარი შეადგინა (გამგეობებში - 2 592 786 ლარი, საკრებულოებში - 767 346 ლარი).

ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემდეგ პრემია ყველაზე დიდი ოდენობით გაიცა მესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში (გამგეობა - **405 245** ლარი, საკრებულო - **95 025** ლარი). აღებული პრემიის სიმცირით გამოირჩევა ბაღდათის გამგეობა (**17 550** ლარი) და ხარაგაულის საკრებულო (**1000** ლარი).

აღსანიშნავია, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2016 წლის მანძილზე პრემია/ჯილდო/დახმარება/სახელფასო დანამატი არ გაცემულა.

მუნიციპალიტეტების საკრებულოების რეგლამენტის თანახმად, დაუშვებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის ხარჯების ანაზღაურება პრემიებისა და დანამატების სახით. საინტერესოა გციბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოკიდებულება ამ მუხლისადმი. ისინი აღნიშნულ ნორმას საკრებულოს თანამდებობის პირებზეც ავრცელებენ და მოწოდებულ დოკუმენტაციაში გვწერენ, რომ გციბულის მუნიციპალიტეტში საკრებულოს თანამდებობის პირები, საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, პრემიასა და სახელფასო დანამატს არ იღებენ. შესაბამისად, გციბულის საკრებულოს აპარატის თანამშრომლებზე გაცემულმა პრემიამ სულ **3 600** ლარი შეადგინა.

ქუთაისის საკრებულოში საკრებულოს თანამდებობის პირები - თავმჯდომარის მოადგილეები, ბექა ყანჩელი და ნიკოლოზ ლაგარია, მთელი წლის განმავლობაში იღებდნენ დანამატს თვეში **2150** ლარის ოდენობით. ჯამში, მთელი წლის მანძილზე თითოეულის მიერ აღებული სახელფასო დანამატმა **25 800** ლარი შეადგინა. ცალკეულ თანამდებობის პირებზე გაცემული მაღალი პრემია/დანამატით გამოირჩეოდა ასევე სამგრელიის, ხარაგაულის, წყალტუბოს, მესტაფონის და ხონის მუნიციპალიტეტები .

ქალაქ ქუთაისის მერიამ არ მოგვაწოდა პრემია/დანამატის შესახებ ინფორმაცია სრულყოფილი სახით. ჩვენთვის უცნობია, კონკრეტულად ვისზე გაიცა აღნიშნული პრემია/დანამატი. მათ შორის,

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს ქუთაისის მერიისა და სხვა თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიის ოდენობა.

გესტაფონის მუნიციპალიტეტი რეგიონში ერთადერთია, რომელმაც გასცა საშვებულებო დახმარება 128 350 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხის გაცემა ხდებოდა დასაქმებულის შვებულებაში გასვლის პერიოდში, თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ამრიგად, დასაქმებული შვებულებაში ყოფნის პერიოდში იღებდა სარგოს ორმაგ ოდენობას. აღსანიშნავია, რომ გერმინს “საშვებულებო დახმარება” და მისი გაცემის მიზნობრიობას მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს.

პრემიის გაცემის დღეები ყველა მუნიციპალიტეტში ერთმანეთს ემთხვევა. პრემია, როგორც წესი, გაიცემა 8 მარტის (მხოლოდ ქალ თანამშრომლებზე), სააღდგომო და ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით. საყურადღებოა, რომ სამგრიდიის მუნიციპალიტეტმა ამ დღეების გარდა, მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებითაც გასცა პრემია. პრემიების გაცემასთან დაკავშირებით დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, პრემია თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში გაიცემა უკლებლივ ყველა თანამშრომელზე და მისი გაცემის დასაბუთებულობაც არ პასუხობს კანონმდებლობით დაწესებულ სტანდარტებს.

მუნიციპალიტეტები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებსა და საჯარო მოსამსახურეებზე ხელფასის სახით, გაიცა 2 887 721.72 ლარი, შტატგარეშე თანამშრომლებზე 225 659.42 ლარი, რაც ჯამში 3 113 381 ლარია. წარმოდგენილი დოკუმენტებით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენი თანამშრომლის შრომით ანაზრაურებას ახდენს მერია აღნიშნული თანხით.

2016 წლის მანძილზე ქუთაისის მერიის თანამდებობის პირებზე, საჯარო მოსამსახურეებსა და შტატგარეშე თანამშრომლებზე პრემიის სახით, გაცემულია 450 455 ლარი, დანამატის სახით - 195 541,46 ლარი. ასევე ქუთაისის მერიის ბიუჯეტის სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან, რაც მოიცავს ბიულეტენს, დეკრეტს, და მაგერიალურ დახმარებას, გაცემულია 88 985.04 ლარი. საერთო ჯამში, პრემია/დახმარება/დანამატის თანხამ შეადგინა 734 981.5 ლარი.

ქუთაისის მერიას არ მოუწოდებია ინფორმაცია, კონკრეტულად ვისზე გაიცა აღნიშნული პრემია/დანამატი. მათ შორის, წარმოდგენილი დოკუმენტებით გაუგებარია, ქუთაისის მერიისა და სხვა თანამდებობის პირების პრემიის ოდენობის შესახებ და შესაბამისად, არ გვაქვს საშუალება სრულყოფილი სახით დავამუშაოთ და გავასაჯაროოთ ინფორმაცია. მერიის მითითებით, პრემია გაიცა ISO სერთიფიკატის მიღების გამო (ქუთაისის მერიის [ინფორმაციით](#), თვითმმართველ ქალაქს მაღალი ხარისხის მენეჯმენტის გამო აღნიშნული სერტიფიკატი 2016 წლის 16 აპრილს მიენიჭა).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციით, 2016 წელს საკრებულოს აპარატში შტაგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დასაქმებულ 35 საჯარო მოხელეზე თანამდებობრივი სარგოს ყოველთვიურმა საერთო ოდენობამ შეადგინა 27 300 ლარი (21 840 ხელზე ასაღები), ხოლო 9 შტატგარეშე თანამშრომლებზე 6 300 ლარი (5 040 ლარი ხელზე ასაღები). ჯამში მათმა წლიურმა ოდენობამ 403 200 ლარი შეადგინა. რაც შეეხება ქუთაისის საკრებულოს თანამდებობის პირებს (15 პირი), ხელფასის სახით მათზე მთელი წლის განმავლობაში გაცემულია 309 000 ლარი.


ამრიგად, ქუთაისის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საჯარო მოსამსახურეთა და შტატგარეშე თანამშრომელთა წლიურმა სახელფასო ანაზღაურებამ შეადგინა 712 200 ლარი.


ქუთაისის საკრებულოს აპარატში შტაგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დასაქმებულ 31 საჯარო მოხელეზე პრემიის სახით გაცემული თანხის ჯამურმა ოდენობამ 50 625 ლარი (40 500 ხელზე ასაღები) შეადგინა, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ 7 შტატგარეშე მოსამსახურეზე პრემიის სახით გაცემულია 11 825 ლარი (9 460 ხელზე ასაღები). ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე პრემიის სახით, გაცემულია 24 050 ლარი. აქედან ერთ-ერთმა ფრაქციის ხელმძღვანელმა გელა გაბადაძემ პრემიის ყველაზე დიდი ოდენობა 5100 ლარი მიიღო, მან ასევე 2016 წლის განმავლობაში ერთხელ აიღო დახმარება 1700 ლარი (ჯამში 6800 ლარი).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დავით ღვალს 2016 წელს პრემია არ აუღია, მას არც დახმარება და არც დანამატი აუღია.

2016 წლის განმავლობაში დახმარების სახით, თანამდებობის პირებზე, საჯარო და შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაცემულია 23 730 ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციით, საკრებულოს მოსამსახურეებზე წახალისების ერთ-ერთი ფორმა - ფულადი ჯილდო არ გაცემულა. რაც შეეხება სახელფასო დანამატს, საკრებულომ 2016 წლის განმავლობაში საჯარო მოსამსახურეებსა და შტატგარეშე თანამშრომლებზე (სულ 8) გასცა 15 540 ლარი (ხელზე ასაღები 12 432). ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თანამდებობის პირთაგან მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი იღებდა დანამატს: ბექა ყანჩელი და ნიკოლოზ ლაგარია, რომლებიც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები არიან. მათი სახელფასო ანაზღაურება 2150 ლარია, გარდა ამისა, ისინი 2016 წლის განმავლობაში ყოვეთვიურად იღებდნენ სახელფასო დანამატს 2150 ლარის ოდენობით (ჯამში 4300 ლარი ყოველთვიურად). თითოეულის წლიურმა სახელფასო ანაზღაურებამ შეადგინა 25 800 ლარი, რასაც ემატება იმავე ოდენობის დანამატი წლის განმავლობაში - ჯამში თითოეულის წლიურმა შემოსავალმა შეადგინა 51 600 ლარი.







ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობაში 2016 წელს თანამდებობის პირებზე, საჯარო და შტაგგარეშე მოსამსახურეებზე ხელფასის სახით, გაცემულია 1 746 798 ლარი. აქედან გამგეობის თანამშრომლებზე 1 408 130 ლარი, საიდანაც თანამდებობის პირებზე (15 პირი) - 230 044; საჯარო მოსამსახურეებზე (123 პირი) - 1 076 281 ლარი, ხოლო 21 შტაგგარეშე მოსამსახურეზე - 101 805 ლარი. ხარაგაული საკრებულოს 16 თანამდებობის პირზე 258 781 ლარი; 6 საჯარო მოსამსახურეზე 46 159 ლარი; ხოლო 7 შტაგგარეშე მოსამსახურეზე 33 728 ლარი. ჯამში 338 668 ლარი.

2016 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მხოლოდ ოთხმა საჯარო მოსამსახურემ აიღო პრემია, ერთჯერადად 250 ლარის ოდენობით, რამაც ჯამში 1000 ლარი შეადგინა. ხარაგაული საკრებულოში არ გაცემულა დანამატი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2016 წელს გამგეობის 13 თანამშრომელზე გაცემულმა პრემია და დანამატმა ჯამში 20 850 ლარი შეადგინა. 2016 წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა ლურსმანიშვილმა ერთხელ აიღო პრემია, ერთხელ დანამატი, ჯამში 5300 ლარის ოდენობით. ასევე გამგებლის პირველმა მოადგილემ პაატა გოგოლაძემ ერთხელ აიღო პრემია 1700 ლარის ოდენობით და ერთხელ დანამატი 1700 ლარის ოდენობით.







ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 131 თანამშრომლის სახელფასო ანაზღაურებამ 2016 წელს 1 133 758.25 ლარი შეადგინა, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელფასო დანახარჯმა 21 თანამშრომელზე - 314 083 ლარი (ჯამში 1 447 841 ლარი).

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2016 წლის დეკემბერში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე, პრემიის სახით გაცემულია 44 300 ლარი. აღნიშნული ინდივიდუალურ აღმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს დასაბუთებას პრემიის გაცემის მიზნობრიობის შესახებ. გამგეობაში 2016 წელს ჯილდო, დახმარება ან/და სახელფასო დანამატი არ გაცემულა.



ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში აპარატის საჯარო მოსამსახურეებსა და შტატგარეშე თანამშრომლებზე დეკემბერში სადღესასწაულო პრემია 10 თანამშრომელზე გაიცა 3600 ლარის ოდენობით. რაც შეეხება ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებს, საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, ისინი პრემიასა და სახელფასო დანამატს არ იღებენ.



ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2016 წელს ხელფასებზე გაიხარჯა 1 190 827, საიდანაც საკრებულოში დასაქმებული 26 პირის ხელფასმა შეადგინა 337 440 ლარი, ხოლო გამგეობაში 109 პირზე ხელფასმა შეადგინა 853 387 ლარი.

2016 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პრემია, ჯილდო, დახმარება ან/და სახელფასო დანამტი არ გაცემულა; გამგეობის მიერ დამატებით წარმოდგენილი დაზუსტებული მონაცემებით, 2016 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მუნიციპალიტეტის


თანამშრომლებზე პრემია, ჯილდო და დახმარება არ გაცემულა, ხოლო რაც შეეხება სახელფასო დანამაგს, მუნიციპალიტეტმა მხოლოდ ერთხელ გასცა დანამაგი მარგის თვეში ყველა თანამშრომელზე 17 550 ლარის ოდენობით.




საჩხერის მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში დასაქმებულ პირთა ხელფასებისათვის 2016 წელს გაიხარჯა 1 754 371 ლარი. გამგეობამ 159 თანამშრომლის სახელფასო ანაზღაურებაში დახარჯა 1 380 571,75 ლარი. აქედან შტაგით გათვალისწინებულ მოსამსახურეებზე 1 308 507 ლარი, ხოლო შტაგგარეშეებზე 72 064.75 ლარი. საჩხერის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატში დასაქმებული 25 პირის სახელფასო ანაზღაურება 2016 წელს 373 800 ლარი დაუჯდა.

საჩხერის მუნიციპალიტეტს გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2016 წელს სახელფასო დანამაგი, ჯილდო და დახმარება არ გაცემულა. რაც შეეხება პრემიას, წლის განმავლობაში გამგეობაში პრემიის სახით გაცემულია 228 555 ლარი. პრემია გაცემულია მარტში (მხოლოდ ქალ თანამშრომლებზე), აპრილსა და დეკემბერში.

2016 წელს საჩხერის საკრებულოში გაცემულია 86 450 ლარი პრემიის სახით, ახალი წლის, ქალთა, აღდგომისა და შობის დღესასწაულთან დაკავშირებით.







ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 136 თანამშრომლის სახელფასო ანაზღაურებამ 1 137 723 ლარი შეადგინა, 12 შტატგარეშე მოსამსახურებე კი 85 800 ლარი.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 35 თანამშრომელზე ხელფასის სახით გაცემულია 395 809 ლარი, 4 შტატგარეშე მოსამსახურებე 21 409 ლარი (ჯამში 417 218 ლარი).

ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის 132 თანამშრომელზე 2016 წლის განმავლობაში პრემიის სახით, გაცემულია 121 950 ლარი, შტატგარეშე 12 თანამშრომელზე კი 10 550 ლარი. ასევე ერთ თანამშრომელზე გაიცა სოციალური დახმარება 2016 წლის აგვისტოსა და დეკემბერში, რამაც ჯამში 7 860 ლარი შეადგინა.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თანამდებობის პირებზე, აპარატის თანამშრომელთა და შტატგარეშე მოსამსახურებებზე პრემიის სახით, გაცემულია 46 610 ლარი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წელს სახელფასო დანამაგი და ჯილდო არ გაუცია, ხოლო რაც შეეხება დახმარებას, საკრებულომ 3 678 ლარი გადასცა ერთ თანამშრომელს.





ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურების თანხამ 2016 წელს 1 918 200 ლარი შეადგინა. აქედან 1 501 576 ლარი გამგეობის

თანამშრომელთა ანაზღაურებას მოხმარდა (თანამდებობის პირებზე 200 982 ლარი გაიცა; საჯარო მოსამსახურეებზე - 1 227 704 ლარი; შტატგარეშე თანამშრომლებზე - 72 889 ლარი) , საკრებულოში შრომის ანაზღაურების მიზნით 416 623 ლარი გაიცა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თანამდებობის პირებსა და საჯარო მოხელეებზე პრემიის სახით აპრილსა და დეკემბერში 65 450 ლარი გაიცა. ასევე ჯილდო გაიცა მარტის თვეში ქალ თანამშრომლებზე, საერთო ჯამში, 67 325 ლარის ოდენობით.

2016 წელს განმავლობაში ჭიათურის გამგეობამ ნაწილ თანამშრომლებზე ორჯერ, ნაწილზე კი სამჯერ გასცა პრემია, რომლის საერთო ოდენობამ შეადგინა 260 100 ლარი. აქედან 31 575 ლარი 15 თანამდებობის პირზე, 149 საჯარო მოსამსახურეზე - 216 025 ლარი, ხოლო 12 შტატგარეშე თანამშრომელზე - 12 500 ლარი.

სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, პრემიის გაცემის თვეებია მარტი, აპრილი და დეკემბერი.





თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2016 წლის განმავლობაში 184 დასაქმებულ პირზე ხელფასის სახით 1 364 409 ლარი გაიცა, ასევე დეკრეტული შვებულებისთვის 4 934 ლარი გაიხარჯა, ხოლო ბიულეტენისთვის - 8288 ლარი, რამაც საერთო ჯამში 1 377 632.5 ლარი შეადგინა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში 32 თანამშრომლის სახელფასო ანაზღაურებისთვის 460 764 ლარი გაიხარჯა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2016 წელს პრემიის სახით 188 325 ლარი გასცა, ხოლო საკრებულომ - 71 750 ლარი. საკრებულოში წლის განმავლობაში ორჯერ გაიცა პრემია აპრილსა და დეკემბერში, სააღდგომო და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით.

დანამაგი, ჯილდო და დახმარება არ გაცემულა მუნიციპალიტეტის არც აღმასრულებელ და არც წარმომადგენლობით ორგანოში.




წყალგუბოს გამგეობის თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურებისათვის 2016 წლის ბიუჯეტიდან 1 501 547 ლარი იქნა დახარჯული, პრემიის სახით კი 252 305 ლარი. მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთაგან ყველაზე დიდი ოდენობით პრემია - 3500 ლარი გამგებლის პირველმა მოადგილემ ზაზა ძნელაძემ აიღო.


წყალგუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე, საჯარო მოსამსახურეებსა და შტატგარეშე თანამშრომლებზე ხელფასის სახით 525 762 ლარი გაიცა.

საკრებულოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2016 წელს პრემიის სახით გაცემულია 93 173 ლარი. 2016 წელს თანამდებობის პირთაგან კომისიის თავმჯდომარეებმა: სერგო კირკიტაძემ, ლევან ნემსაძემ და მალხაზ ღვინიაძემ პრემიის ყველაზე დიდი ოდენობა - 4867 ლარი მიიღეს.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების განმარტებით, პრემია გაცემულია თანამშრომელთა მიერ დაკისრებული უფლებამოსილებების კეთილსინდისიერად, ზედმიწევნით და სანიმუშო შესრულებისათვის, გაცემის მიზანი კი კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და მათთვის მოტივაციის გაზრდაა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობაში ჯილდო, დახმარება ან/და დანამაგი არ გაცემულა.







გესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელფასო ანაზღაურებამ 2016 წელს 394 398 ლარი შეადგინა. ასევე საკრებულოს თანადებობის პირებსა და თანამშრომლებზე 32 850 ლარი გაიცა, როგორც საშვებულებო დახმარება. საკრებულოს ჯილდოს სახით, გაცემული აქვს 1500 ლარი, ხოლო პრემიისათვის 60 675 ლარი (ჯამში დახმარების, ჯილდოსა და პრემიის სახით 95 025 ლარი გაიცა).

2016 წელს გესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამჯდომარეს დავით მადრაძეს, 5300 ლარის (დარიცხული) ოდენობის დახმარება და პრემია აქვს აღებული, ხოლო მის მოადგილეს ლევან ურიადმყოფელს - 5100 ლარი. 5000 ლარს აღემატება ასევე საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეების პრემია/დანამატის ოდენობაც.

გესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის 179 თანამშრომელზე სახელფასო ანაზღაურებად გაცემულია 1 618 393 ლარი. ასევე გამგეობის თანადებობის პირებსა და თანამშრომლებზე, საშვებულებო დახმარების სახით 128 350 ლარი, პრემიის სახით კი 276 895 ლარია გაცემული.

გესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის გარიელ თუთარაშვილის მიერ აღებული პრემიისა და დანამატს საერთო ოდენობამ 5300 ლარი შეადგინა, ხოლო გამგებლის მოადგილეების: ნიკოლოზ კრავეიშვილისა და ვახტანგ ღამბაშიძის პრემია/დანამატის ოდენობამ 5100-5100 ლარი. ასევე, გამგეობის სამსახურების თითქმის ყველა ხელმძღვანელმა, 2016 წელის განმავლობაში პრემია/დანამატის სახით, თითოეულმა 4500 ლარზე მეტი აიღო.







ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომელთა სახელფასო და საშეგებებლო ანაზღაურებამ შეადგინა 356 527 ლარი.

პრემია ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიცა მხოლოდ ერთხელ - 2016 წლის დასაწყისში და ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 29 550 ლარი.

ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა, საჯარო მოხელეთა და შტაგგარეშე თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურებამ 2016 წელს 841 378 ლარი შეადგინა.

ხონის გამგეობაში გაცემული პერმიის საერთო ოდენობა 2016 წელს 83 300 ლარი იყო. ხონის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ჯემალ მებუკემ პრემია ერთხელ აიღო 2650 ლარის ოდენობით, მისმა მოადგილემ ჩხენკელმა კი ორჯერ - 3 200 ლარის ოდენობით.

ხონის მუნიციპალიტეტში ჯილდო, დახმარება და სახელფასო დანამაგი არ გაცემულა.



2016 წელს **სამგრდიის** მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა, საჯარო და შტაგგარეშე მოსამოსახურეთა სახელფასო ანაზღაურებამ 1 277 200 ლარი შეადგინა. გამგეობის

თანამდებობის პირებზე, საჯარო მოსამსახურეებზე და შტაგგარეშე თანამშრომლებზე 292 800 ლარის პრემიაა გაცემული, ხოლო სახელფასო დანამაგი - 13 100 ლარი. წლის განმავლობაში გამგებლის მოადგილემ, დავით ბახვაძემ, აიღო პრემიის ყველაზე დიდი ოდენობა 7700 ლარი. წლის მანძილზე მაღალი პრემიები აიღეს ასევე ორმა სამსახურის უფროსმა, მიხეილ ლეჟავამ და ნოე ივანიძემ, 6160 ლარი თითოეულმა.


რაც შეეხება სამგრელიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის თანამშრომელთა, ჯამში 28 პირი, სახელფასო ანაზღაურებამ წლის განმავლობაში 458 900 ლარი შეადგინა.


რაც შეეხება სამგრელიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, წლის განმავლობაში პრემია 4-ჯერ გაიწია: 8 მარგის, სააღდგომო, საახალწლო და მარიამობის დღესასწაულებთან დაკავშირებით. 8 მარგთან დაკავშირებული პრემია 10 ქალ თანამშრომელზე 1250 ლარის ოდენობით გაიწია. სააღდგომო პრემია, ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, გაიწია 16 თანამდებობის პირზე 30 550 ლარის ოდენობით და აპარატის 11 თანამშრომელზე 7 700 ლარის ოდენობით.

მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით 15 540 ლარის პრემია, თანამდებობრივი სარგოს 40%-ის ოდენობით საკრებულოს 16 თანამდებობის პირზე, აპარატის 12 თანამშრომელზე გაიწია. პრემია გაიწია ასევე საახალწლოდ, ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, თანამდებობის პირებზე, გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა. საერთო ჯამში, წლის განმავლობაში გაცემული პრემიების ოდენობამ 91 815 ლარი შეადგინა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, კობა ძიძიგურმა, პრემია ყველაზე დიდი ოდენობით აიღო. მის მიერ წლის განმავლობაში აღებული პრემიის ოდენობამ 4800 ლარი შეადგინა. საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეთა უმრავლესობამ პრემიის სახით, ასევე აიღეს 4440 ლარი თითოეულმა წლის განმავლობაში.

დანამატის სახით სამგრელიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაცემულია 3250 ლარი.






დასკვნა და რეკომენდაციები:

- მოუწოდებთ მუნიციპალიტეტებს, პრემიების გაცემასთან დაკავშირებით, შეცვალონ არსებული პრაქტიკა. როგორც წესი, პრემია გაიცემა უკლებლივ ყველა თანამშრომელზე სადღესასწაულო ღღებთან დაკავშირებით (8 მარტი, აღღგომა, ახალი წელი). მუნიციპალიტეტების განმარგებით, პრემიის გაცემის მიზანს წარმოადგენს თანამშრომელთა წახალისება, თუმცა პრემიის გაცემისას არ იკვეთება თანამშრომელთა ინდივიდუალური შეფასების ნიშნები. შესაბამისად, ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტები, პრემიის გაცემასთან დაკავშირებით ნაკლებად დასაბუთებულია. იმისათვის, რომ პრემიამ არ დაკარგოს წამახალისებელი ფუნქცია, საჭიროა მისი გაცემისას გათვალისწინებულ იქნეს თითოეული თანამშრომლის მიერ გაწეული საქმიანობის მოცულობა და ხასიათი, ასევე საქმიანობის შედეგები.
- მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯილდოს, დახმარების ან/და სახელფასო დანამატის გაცემისას გამოიკვეთოს მათი გაცემის საფუძველი და მიზნობრიობა. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით, მოხელეს, ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დაგვირთვის გათვალისწინებით, საფინანსო წლის განმავლობაში შეიძლება დაუწესდეს სხვა დანამატები. ამრიგად, ჯილდო, დახმარება ან/და სახელფასო დანამატი გაიცემა ინდივიდუალურად და მისი გაცემის დასაბუთებულობა უნდა აისახოს შესაბამის ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტში.
- იმ მუნიციპალიტეტებს, სადაც გამგეობისა და საკრებულოს თანამდებობის პირებმა პრემიის, დახმარებისა თუ სახელფასო დანამატის სახით, აიღეს დაუსაბუთებლად მაღალი თანხები, მოუწოდებთ შეცვალონ არსებული პრაქტიკა. აღნიშნული უარყოფითად აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე და ამასთან, ცალკეულ თანამდებობის პირებს მუნიციპალიტეტის სხვა თანამშრომელთა შეღარებით დაუსაბუთებლად პრივილეგიურულ მღგომარეობაში აყენებს.
- მოუწოდებთ მუნიციპალიტეტებს, არ გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული დანამატები ფართო გაგებით, როგორც ეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტშია, რომელიც გასცემს საშვებულებო დახმარებას, რაც სცილდება კანონით გათვალისწინებული რეგულაციის ფარგლებს.

- “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” საჯარო ინფორმაციის დაზუსტებასთან დაკავშირებით, დასჭირდა ცალკეული მუნიციპალიტეტებისათვის განმეორებით მიმართვა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მუნიციპალიტეტიდან ინფორმაცია სრული სახით, მაინც არ მოგვეწოდა. შესაბამისად, მოვეუწოდებთ მუნიციპალიტეტებს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებას, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას მოქალაქეთა მიმართ.



2016 წელს იმერეთის მუნიციპალიტეტებში გაცემული ხელფასი

